



რეგიონალური ტელევიზიების მონიტორინგი  
საპრეზიდენტო არჩევნები 2013

პროექტი # S-13-238

საანგარიშო პერიოდი: 30 სექტემბერი - 13 ოქტომბერი, 2013 წელი

**მონიტორინგის მეორე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:**

- წინა სანგარიშო პერიოდთან შედარებით მოიმატა მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებამ;
- მკვეთრად გაიზარდა საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის (მათ შორის არაკვალიფიცირებული კანდიდატებისთვის) დათმობილი დრო;
- ტელეკომპანიებმა საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამების შესახებ საინტერესო თოქ-შოუები მოამზადეს;
- ტელეკომპანიების უმრავლესობაზე საინფორმაციო გამოშვებების მთავარ პრობლემად კვლავ მოვლენების ზედაპირული გაშუქება რჩება. ახალი ამბები პოლიტიკოსების განცხადებების მშრალი ციტირებით შემოიფარგლებოდა;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე სუბიექტების პირდაპირ და ირიბად გაშუქება თანაბრად ხდებოდა;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2013 წლის 30 სექტემბერი - 13 ოქტომბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების საღამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონალური ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

**ანალიზი და მეთოდოლოგია**

კვლევა განხორციელდა საქართველოს 12 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. ჭიათურა), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს (ე.წ. “პრაიმ-ტაიმის”, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებზე, სოციალურ რეკლამებზე.

### **საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი**

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია "ქართული ოცნება", ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები (კოალიცია), ეროვნული ფორუმი (კოალიცია), საქართველოს რესპუბლიკური პარტია (კოალიცია), საქართველოს კონსერვატიული პარტია (კოალიცია), მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (კოალიცია), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ევროპელი დემოკრატები, ასევე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ცალკ-ცალკე.

### **მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:**


**"25-ე არხი" (ქ. ბათუმი)** - საანგარიშო პერიოდში არხი საინფორმაციო გამოშვებებს კვლავ ყოველდღე გადასცემდა. „მაცნემ“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 47 წუთი დაუთმო. ამ დროის 26% აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გაშუქებას დაეთმო, 16% - კოალიცია „ქართული ოცნების“, ხოლო 14% - ადგილობრივი ხელისუფლების. საინფორმაციო გამოშვებებში ადგილობრივი ახალი ამბების გაშუქება სჭარბობდა. შესაბამისად, რესპონდენტები უმეტესად აჭარის მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ კვლევის წინა პერიოდთან შედარებით მოიმატა საარჩევნო სუბიექტების გაშუქებამ. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან წუთზე მეტი დრო ოთხ სუბიექტს დაეთმო: დავით ბაქრაძეს („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) - 3 წთ. 2 წმ., გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია „ქართული ოცნება“) - წუთი და 35 წმ., ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული

მომრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“) - წუთი და 24 წმ. და კობა დავითაშვილს („ხალხის პარტია“) - წუთი და 12 წმ. ძირითადად საპრეზიდენტო კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრები შუქდებოდა.

პრეზიდენტობის კანდიდატებიდან მხოლოდ დავით ბაქრაძე და კობა დავითაშვილი გაშუქდნენ პირდაპირ.

საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების ტონი, ძირითადად, ნეიტრალური იყო. თუმცა, ნეგატიური ტონიც დაფიქსირდა, წინო ბურჯანაძისა და დავით ბაქრაძის მიმართ - არხმა გააშუქა ინციდენტი, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრაზე მოხდა. მოქალაქეთა ნაწილის შეურაცხმყოფელი გამონათქვამები პრეზიდენტისა და დავით ბაქრაძის მიმართ „მაცნემ“ ხმის დაფარვის გარეშე გადასცა.

საინფორმაციო გამოშვებებში ყოველდღიურად შუქდებოდა მოქალაქეთა სოციალური პრობლემები. სიუჟეტებში, ძირითადად, დაცული იყო ბალანსი ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ აჭარის მთავრობას და სოციალურად დაუცველი ან დაზარალებული მოსახლეობის კომენტარების გადმოცემისას. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები ადგილობრივი ხელისუფლების და აჭარის მთავრობის წარმომადგენლებს ხშირად მიმართავდნენ კრიტიკული კითხვებით. 8 ოქტომბრის გადაცემაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარემ, ბათუმში ასაშენებლ მეჩეთთან დაკავშირებული კითხვის დასმისთვის, ჟურნალისტს შეურაცხყოფა მიაყენა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტი კორექტული იყო.




"რიონი" (ქ. ქუთაისი) - ტელეკომპანია "რიონის" ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 44 წუთი დაეთმო. აქედან, კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებაზე 23% მოდიოდა, 20% - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და 18% - ადგილობრივი ხელისუფლების.

ჟურნალისტები, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, უფრო აქტიურად აშუქებდნენ რეგიონში წარმოდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო შტაბების აქტივობებს, მიმოიხილავდნენ მოსახლეობის განწყობებს წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით.

კოალიცია "ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატს 9 წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმო, რაც პრემიერ-მინისტრისა და გიორგი მარგველაშვილის ქუთაისში ვიზიტის გაშუქებით იყო გამოწვეული. ეს მოვლენა 13 ოქტომბრის კვირის შემაჯამებელ გადაცემა "7 დღეში" ჟურნალისტების მხრიდან მაქსიმალურად ნეიტრალურად და მიუკერძოებლად იყო გაშუქებული. თუმცა, მოსახლეობის მხრიდან, კანდიდატის მიმართ გაკეთებულმა პოზიტიურმა შეფასებებმა დადებითი ტონის 39%-იანი მაჩვენებელი განაპირობა.

საპრეზიდენტო კანდიდატებიდან დადებითად გაშუქების მაღალი მაჩვენებლით ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") გამოირჩეოდა. მისთვის დათმობილი 6 წუთიდან დროის 65% პოზიტიურ ტონზე მოდიოდა.

არხის ახალი ამბების გამოშვებები დიდ დროს პარლამენტში მიმდინარე მოვლენებს გაშუქებას უთმობდა. მაქსიმალურად ოპერატიულად აზადებდა სიუჟეტებს საკანონმდებლო ორგანოში განხილული საკითხებისა და ინიციატივების შესახებ. მნიშვნელოვანი დრო დაეთმო პარლამენტის წევრების პირდაპირ საუბარსაც.




**ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 20-35 წუთიანი საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკა“ გადიოდა. კვირას კი ეთერი „კვირის ქრონიკას“ ეთმობოდა. საინფორმაციო გამოშვებებში ვრცლად შუქდებოდა ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიებები. "ქრონიკის" ბოლოს წამყვანი მაყურებელს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსაც აცნობდა. თუმცა, ცენტრალური ამბების გაშუქებას გაცილებით ნაკლები დრო ეთმობოდა.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 54 წუთი დაეთმოთ. ყველაზე დიდი დრო (50 წთ.) ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებაზე მოდიოდა. მას 12 წუთით მთავრობა მოჰყვებოდა.

საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად შუქდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების (რუსთავის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მათი მოადგილეები) აქტივობები. გადაცემების პირველი და მეორე სიუჟეტი, ძირითადად, მათ საქმიანობაზე მოგვითხრობდა. საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ მომზადებული სიუჟეტები კი მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე სიუჟეტებად გადიოდა. არხმა აქტიურად გააშუქა პრეზიდენტობის კანდიდატების: გიორგი თარგამაძის ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"), შალვა ნათელაშვილის ("ლეიბორისტული პარტია"), გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება"), დავით ბაქრაძის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") წინასაარჩევნო კამპანიები. თითოეული მათგანისთვის დათვლილი დრო სწორედ წინასაარჩევნო კამპანიების გაშუქებაზე მოდიოდა.

მონიტორინგის სუბიექტების, მათ შორის პრეზიდენტობის კანდიდატების, გაშუქების ტონი დიდწილად ნეიტრალური იყო. თითქმის თანაბარი იყო პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებელიც: ყველას თანაბრად ეთმობოდა დრო პირდაპირი საუბრისთვის. მხოლოდ გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება" ) შემთხვევაში გამოვლინდა 100%-იანი ირიბი გაშუქება (დათმობილი დრო 2 წთ. 32 წმ.).

ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად, სუბიექტური შეფასებების გარეშე გადმოსცემდნენ. სიუჟეტები დაბალანსებული იყო. მათში ყველა დაინტრესებული მხარე თანაბრად იყო წარმოდგენილი.




"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვება „დრო“, რომლის ქრონომეტრაჟი 6 - 12 წუთია, ყოველდღე, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, გადიოდა ეთერში.

საღამოს ეთერი ასევე ეთმობოდა „ინფოლენტს“, სადაც პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დაახლოებით 15 წამის განმავლობაში, ძირითადად, ტექსტის სახით აჩვენებდნენ. უმეტეს შემთხვევაში, ციტატასთან ერთად ეკრანზე მისი ავტორის ფოტოც იყო გამოსახული.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 45 წუთი დაეთმო. საერთო დროის დიდი ნაწილი (8 -8 წთ.) პრემიერ-მინისტრსა და მთავრობაზე გადანაწილდა, ხოლო 5 წუთი პრეზიდენტის გაშუქებას დაეთმო.

საინფორმაციო გამოშვებებში, მეტწილად, ადგილობრივი ახალი ამბები შუქდებოდა. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მხოლოდ გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება" და დავითა ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") დაეთმოთ დრო. არხმა სამეგრელოში მათი წინასაარჩევნი კამპანიის მიმდინარეობა გააშუქა. მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება ნეიტრალურ ტონში ხდებოდა. ყველა გაშუქებული სუბიექტის შემთხვევაში ირიბი საუბარი ბევრად მეტი იყო პირდაპირ გაშუქებაზე. სიუჟეტები მიუკერძოებელი და დაბალანსებული იყო.






"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - ტელეკომპანიის სადამოს ეთერში ყოველდღიურად ორი ახალი ამბების გამოშვება „ექო“ გადიოდა. მონიტორინგის სუბიექტებს საინფორმაციო გამოშვებებში ჯამში 1 საათი და 2 წუთი დაეთმო. არხი საარჩევნო სუბიექტების გაშუქების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

ყველაზე მეტი დრო მთავრობისა (საერთო დროის 40%) და ადგილობრივი ხელისუფლების (საერთო დროის 20%) წარმომადგენლების გაშუქებას დაეთმო. პარტიებიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (5წთ. 45 წმ.) და კოალიცია „ქართული ოცნება“ (4წთ. 25წმ.) გაშუქდნენ. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან კი წუთზე მეტი დრო გიორგი თარაგამაძეს ("ქრისტინან-დემოკრატიული მოძრაობა"), ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"), გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება"), შალვა ნათელაშვილსა ("ლეიბორისტული პარტია") და დავით ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) დაეთმო. თითქმის ყველა საპრეზიდენტო კანდიდატის გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა პირდაპირს. ხოლო გაშუქების ტონი ნეიტრალური ან დადებითი იყო. ნეგატიური ტონი პრეზიდენტობის კანდიდატებთან არ დაფიქსირებულა. საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, დაცული იყო ბალანსი და მიუკერძოებლობა. საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის დათმობილი დრო თითქმის თანაბარად იყო გადანაწილებული.

გადაცემებში ზოგჯერ ჭირდა რესპონდენტების ვინაობის დაგდგენა, რადგან არ ჰქონდა შესაბამისი ტიტრი.

უზუსტობას ჰქონდა ადგილი 1 ოქტომბრის გადაცემაში: წამყვანმა სიუჟეტის დაწყებამდე განაცხადა: "ერთი წელი პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან. რა შეიცვალა ახალციხეში ახალი ხელისუფლების ერთწლიანი მმართველობის მანძილზე და როგორი მოლოდინებია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ნახეთ საზოგადოების განწყობა". თუმცა, სინქრონებში თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ჩაწერილი რესპონდენტები მოხვდნენ.

6 ოქტომბრის კვირის მთავარ გამოშვებაში გავოდა სიუჟეტი, რომელიც ამავე არხზე 3 ოქტომბრის თოქ-შოუში განხილულ საკითხებზე იყო მომზადებული. თოქ-შოუში კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა არხი მიკერძოებულობაში დაადანაშაულა. თუმცა საინფორმაციო გამოშვებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გასული წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. სიუჟეტში ჟურნალისტმა არხის მისამართით გამოთქმული შენშვნების საპირისპიროდ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ანგარიში მოიშველია, სადაც არხის მისამართით ადგილობრივ მოსახლეობას ნდობის მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა.



**"თანამგზავი" (ქ. თელავი)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში 20-30 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა.


საინფორმაციო გამოშვების პირველ ნაწილში თელავსა და ზოგადად კახეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენები შუქდებოდა: პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიები კახეთის რეგიონში, სოციალური თემები, ინფრასტრუქტურულ პროექტები, ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, კულტურული თუ სხვა ღონისძიებები. ხოლო მეორე ნაწილში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები საკმაოდ ვრცლად იყო გადმოცემული, რომელიც ეთერში ე.წ. "კადრ-სინქრონის" სახით გადიოდა. საინფორმაციო გამოშვებებში რეგიონში და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გაშუქებაზე დრო თანაბრად იყო გადანაწილებული. თუმცა, ზოგჯერ უფრო მეტი დრო ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას ეთმობოდა.

„ახალ ამბებში“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 2 წუთი დაეთმო. ამ დროის დიდი ნაწილი (47 წთ.) მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა. 34 წუთი დაეთმო ადგილობრივ ხელისუფლებას, 26 წუთი - "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", 25 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას". საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო კობა დავითაშვილს ("ხალხის პარტია") დაეთმო: გაშუქდა როგორც მისი წინასაარჩევნო შეხვედრა, გურჯაანში, ასევე პრესკონფერენცია, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, დავით საგანელიძეს სადაზღვევო კომპანიების ლობირებაში ადანაშაულებდა.

საინფორმაციო გამოშვებებში ასევე გაშუქდა გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება") შეხვედრა სოფელ ყარაჯალაში; დავით ბაქრაძის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") განცხადებები საარჩევნო თუ სხვა საკითხებზე. სუბიექტების გაშუქების ტონი უმეტესწილად ნეიტრალური იყო. თითქმის თანაბარი იყო პირდაპირი/ირიბი გაშუქების მაჩვენებლებიც.

საინფორმაციო გამოშვებებში არ გასულა სიუჟეტები, სადაც დარღვეული იყო ბალანსი. ჟურნალისტები ახალ ამბებს სუბიექტური შეფასების გარეშე გადმოსცემდნენ, თუმცა მონიტორინგის პერიოდში ყურადღება მიიქცია 2 ოქტომბერს გასულმა სიუჟეტმა „გასული წლის საპარლამენტო არჩევნების დღის წინა დამეს მოკლული 10 თვის ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალებიდან ერთი წელი შესრულდა“. სიუჟეტში თანაბრად იყო წარმოდგენილი ყველა მხარე და მეტ-ნაკლებად დაცული იყო ბალანსი, მაგრამ გარდაცვლილი ბავშვის ქვევრიდან

ამოყვანის მძიმე კადრები დაუფარავად გავიდა, ჩანდნენ მგლოვიარე ოჯახის წევრები და ნათესავები. ამ კადრების ეთერში გაშვება ეწინააღმდეგება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსს“.<sup>1</sup>



"თრიალეთი" (ქ. გორი) - გასული ორი კვირის განმავლობაში 20 წუთიანი საინფორმაციო გამოშვება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით გადიოდა. შაბათის გადაცემაში კი კვირის განმავლობაში გასული ყველაზე მნიშვნელოვანი სიუჟეტები მეორდებოდა, ხოლო გადაცემის მეორე ნაწილი მიწვეულ სტუმრებს ეთმობოდა.

საანგარიშო პერიოდში სუბიექტებს სულ 1 საათი და 3 წუთი დაეთმო. აქედან, 35% - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობას", 17% - მთავრობას, 11% - კოალიცია "ქართულ ოცნებას", 10-10% - პრემიერ მინისტრს და პრეზიდენტს, 6% - ადგილობრივ ხელისუფლებას.

აღსანიშნავია, რომ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის დათმობილი დროის მაღალი მაჩვენებელი, ძირითადად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, ანდრო ბარნოვის აქტივობებით იყო გაპირობებული. იგი რამდენჯერმე ესტუმრა შიდა ქართლის რეგიონს.

<sup>1</sup>მუხლი 35. მაუწყებლის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)

მაუწყებელმა არ უნდა გადაიღოს ან გაავრცელოს მასალა, რომელშიც ასახულია უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულები ან პიროვნება პირადი ტრაგედიის ან მწუხარების დროს, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ან დაკრძალვაზე, როდესაც ეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ხელყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიღებულია პირის თანხმობა. პირის გარდაცვალების შემთხვევაში საჭიროა ოჯახის წევრების თანხმობა.


ასევე მიწვეული იყო შაბათის ( 5 ოქტომბერი) სპეციალურ გამოშვებაში, სადაც მას საშუალება მიეცა დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში ესაუბრა როგორც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივობებზე, ასევე პრემიერისა და კოალიცია "ქართული ოცნების" საქმიანობაზე. ბარნოვს მოჰასუხე არ ჰყავდა, მარტო იყო მიწვეული, ჟურნალისტები კი ნაკლებად მოუწოდებდნენ თავი შეეკავებინა მმართველი გუნდის და პრემიერის მისამართით გამოთქმული ბრალდებებისგან და მხოლოდ კონკრეტულ კითხვებზე გაეცა პასუხი. შესაბამისად, პრემიერისა და მმართველი გუნდის მიმართ მაღალი ნეგატიური ტონი დაფიქსირდა.

ტელეკომპანია აქტიურად აშუქებდა არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ცენტრალურ ახალ ამბებსაც.

თითქმის თანაბრად და დაბალანსებულად დაეთმოთ დრო პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის პირდაპირი გაშუქება 84% შეადგენდა, ხოლო პრემიერის - 21%.


10 ოქტომბრის გადაცემაში გაშუქდა "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი თარგამაძის ვიზიტი რეგიონში. ნებისმიერი აქტივობის შემთხვევაში საეთერო დრო ეთმობოდა ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს.

ჟურნალისტები ახალ ამბებს დროულად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ. საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენებს რამდენიმე დღის განმავლობაში, თემის ამოწურვამდე აშუქებდნენ.



**"გურია" (ქ. ოზურგეთი)** - საანგარიშო პერიოდში სამაუწყებლო კომპანია "გურია" ორმახაბათი-პარასკევის განმავლობაში 12-15 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. რეგიონში მიმდინარე მოვლენების პარალელურად არხი ქტიურად აშუქებდა ცენტრალურ ახალ ამბებსაც.

ჯამში მონიტორინგის სუბიექტებს 18 წუთი დაემოთ. აღნიშნული დროის 37% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 17% - პრემიერ-მინისტრს, 10-10% - გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება") და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", ხოლო 9% - შალვა ნათელაშვილის ("ლეიბორისტული პარტია"). საპრეზიდენტო კანდიდატებიდან დრო კობა დავითაშვილსაც ("ხალხის პარტია") დაეთმო, თუმცა იგი ერთ წუთს არ აღემატებოდა. ჟურნალისტები მოვლენებს დაბალანსებულად აშუქებდნენ, თავს იკავებდნენ შეფასებების გაკეთებისგან. მთავრობის და პრემიერ-მინისტრის გაშუქებისას თითქმის თანაბრად გამოვლინდა სამივე ტონი.




**"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა)** - საანგარიშო პერიოდის პირველ ნახევარში (30 სექტემბერი - 8 ოქტომბერი) ტელეკომპანია კვირაში ორ (სამზახათი, პარასკევი) საინფორმაციო გადაცემას ამზადებდა. 9 ოქტომბრიდან არხმა ყოველდღიური ახალი ამბების მომზადება დაიწყო. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილმა დრომ მკვეთრად მოიმატა. გაიზარდა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის გაშუქებაც. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო ლევან ჩაჩუას (საინიციატივი ჯგუფი) და შალვა ნათელაშვილს ("ლეიბორისტული პარტია") დაეთმო. 3-3 წუთით გაშუქდნენ "ქრისტინა-

დემოკრატიული მოძრაობის", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და კოალიცია "ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატები. კოალიცია "ქართული ოცნების" კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი 37% პოზიტიურ ტონში გაშუქდა, დანარჩენი კანდიდატები - კი 90-100% ნეიტრალურ ტონში. 100%-იანი ნეგატიური ტონი დაფიქსირდა პრეზიდენტის მიმართ: გორის მაჟორიტარმა დეპუტატმა კოალიცია "ქართული ოცნებიდან" ნეგატიურად შეაფასა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა მთავრობის მიმართ ე.წ. "მცოცავი ოკუპაციის" წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

საათი და 12 წუთი საერთო ჯამში მონიტორინგის 15 სუბიექტს დაეთმო. აქედან, 41%-ით ადგილობრივი ხელისუფლება იყო წარმოდგენილი. „დღის ამბებში“ ჟურნალისტი ინგა ჯაჯანიძეს სტუმრად მიწვეული ჰყავდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი სულხან მახათაძე. ჟურნალისტმა გადაცემის დასაწყისში დაანონსა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი ტელემაყურებელთა კითხვებს უპასუხებდა. სტუმართან თითქმის ერთსაათიანი დიალოგი შედგა. გადაცემაში ჟურნალისტი სვამდა შეკითხვებს, რომლებიც მოსახლეობამ ტელევიზიას მიაწოდა. ჟურნალისტი ცდილობდა, ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების შესახებ მიეღო ამომწურავი პასუხები. იყო კრიტიკული შეკითხვებიც, მაგრამ გადაცემის დიდი ნაწილი გამგებლის პრესკონფერენციას ჰგავდა. ამ გადაცემის შემდეგ რაოდენობრივ კვლევაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქების პოზიტიური ტონი. მსგავსი ფორმატის ჩართვა ახალ ამბებში მოგვიანებით გასული სიუჟეტების გადაფარვას იწვევს.

საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები, ძირითადად, ფაქტების მშრალი გადმოცემით შემოიფარგლებოდა.

აღსანიშნავია, რომ 8 ოქტომბერს სამონიტორინგო საათებში (19:00-24:00 სთ.) მოხვდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ჩანაწერი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სხდომაზე მიმდინარე საკითხებს განიხილავდნენ. აღნიშნული ჩანაწერი არ მოექცა მონიტორინგის რაოდენობრივი კომპონენტის ქვეშ.



"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო პერიოდში სამაუწყებლო კომპანია "გურჯაანი" 20-30 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად აშუქებდა როგორც რეგიონის ახალ ამბებს, ასევე "რეგიონს გარეთ განვითარებულ მოვლენებს".

ვრცელი სიუჟეტები პრობლემას ამომწურავად წარმოაჩენდა და ყოველთვის დაბალანსებული იყო რესპონდენტების კომენტარებით. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 40 წუთი დაეთმო.


აღნიშნული დროის 28% ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებაზე მოდიოდა, 26% - მთავრობის, 9% - პრემიერ-მინისტრი, 7-7% - პრეზიდენტის და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის".

ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებისას პირდაპირი საუბრის მაჩვენებელი ბევრად სჭარბობდა ირიბს. ხოლო მთავრობის, პრემიერ-მინისტრის და პრეზიდენტის შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.

ადგილობრივ ხელისუფლების გაშუქებაში პირდაპირი საუბარი სჭარბობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს ხშირად სვამდნენ, ტონები ნეიტრალურსა და დადებითს შორის იყო დაბალანსებული.

საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მხოლოდ შალვა ნათელაშვილს ("ლეიბორისტული პარტია") დაეთმო წუთზე მეტი დრო.





"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - მონიტორინგის მეორე პერიოდის განმავლობაში არხის საინფორმაციო გამოშვება „მთავარი დღეს“ ყოველდღიურად გადიოდა ეთერში. გადაცემაში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 1 საათი და 44 წუთი დაეთმო.

კვლევის წინა პერიოდთან შედარებით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, გაიზარდა საარჩევნო თემატიკის გაშუქება.


მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო მთავრობისა (27%) და ადგილობრივი ხელისუფლების (23%) გაშუქებას დაეთმო. პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტად „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ (9 წთ.) და კოალიცია „ქართულ ოცნება“ (6 წთ.) გაშუქდნენ.

საანგარიშო პერიოდში არხზე მოიმატა პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო კამპანიების გაშუქებამ. საარჩევნო შეხვედრების გაშუქების დრო, ძირითადად, სამ სუბიექტზე გადანაწილდა. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან წუთზე მეტი დროით გაშუქდა ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება") და დავით ბაქრაძის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) საქმიანობა. პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლებისა პოლიტიკური პარტიების გაშუქებისას - პირდაპირი საუბარი. კანდიდატების შესახებ მომზადებული სიუჟეტები, ძირითადად, ერთმანეთის მიყოლებით გადაიცემოდა ეთერში.

საპრეზიდენტო კანდიდატები დიდწილად პოზიტიურ ტონში შუქდებოდნენ. რაც შეეხება ნეგატიურ ტონს იგი მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მისამართით დაფიქსირდა.

საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლებად იყო ანალიტიკური სიუჟეტები, მათ შორის კვირის შემაჯამებელ გადაცემაში. იყო შემთხვევები, როცა რთული იყო რესპონდენტის ვინაობის დადგენა, რადგან სინქრონს არ ერთვოდა ტიტრი.

სიუჟეტებში ძირითადად დაცული იყო ბალანსი და არ შეიმჩნეოდა მიკერძოება. ჟურნალისტები ცდილობდნენ ყველა მხარის პოზიციის წარმოჩენას. საპრეზიდენტო




"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის სადამოს ეთერში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას 34 წუთი დაეთმო. ამ დროის 29% კოალიცია "ქართული ოცნებაზე" მოდიოდა. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო, თითქმის 4 წუთი გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება") დაეთმო.

აღსანიშნავია, რომ ახალი ამბების გამოშვებებში მნიშვნელოვანი დრო (დაახლოებით 40-50%) პოლიტიკური სუბიექტების პირდაპირ გაშუქებას ეთმობოდა. გამონაკლისს მხოლოდ პრემიერ-მინისტრი და კოალიცია "ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი წარმოადგენდნენ.

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონი უმეტესწილად ნეიტრალური იყო, რაც ფაქტების მშრალი, მოკლე და მიუკერძოებელი გაშუქების შედეგია. ხოლო ცალკეულ

შემთხვევებში დაფიქსირებული უარყოფითი და დადებითი ტონის მაჩვენებლები რესპონდენტთა კომენტარების.

საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები თითქმის არ გაშუქებულა: აქცენტი რეგიონის ახალ ამბებზე კეთდებოდა, მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდა სოციალურ თემატიკას და მოსახლეობის პრობლემების გაშუქებას.



### საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნიან ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

**მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:**

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო პერიოდში არხის ორშაბათი-პარასკევის საღამოს ეთერში **თოქ-შოუ „დიალოგი“**, კვირაში ერთხელ კი **თოქ-შოუ „უპასუხეთ ხალხს“** (ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" პროექტი) გადიოდა.

8 ოქტომბერს ეთერში გავიდა **თოქ-შოუ „არჩევანი 2013“**, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მომზადდა. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა. თოქ-შოუები ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს მიჰყავდა.

სტუდიში მიწვეული რამდენიმე სტუმრის გარდა, რესპონდენტები ღია ეთერში სხვა რეგიონებიდანაც ერთვებოდნენ, რაც გადაცემებს უფრო დინამიურს ხდიდა. თოქ-შოუებში განსახილველი თემების გარშემო მომზადებულ სიუჟეტებსაც უჩვენებდნენ.

წამყვანი ჯაბა ანანიძე გადაცემებში რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამებს განიხილავდა. 30 სექტემბერი - 13 ოქტომბრის განმავლობაში 10 გადაცემა მომზადდა შემდეგ თემებზე:

- ნოტარიუსთა გაზრდილი უფლებები;
- აჭარის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიები;
- მოხუცებულთა დღე;
- აჭარის ტელევიზიის საკონკურსო კომისია;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა;
- თანაინვესტირების ფონდი;
- "სამოქალაქო ორგანიზაციის" დაფუძნება;
- დებატები სამი საპრეზიდენტო კანდიდატის შტაბის ხელმძღვანელებს შორის;
- ჰესი მდინარე კინტრიშზე;
- პრეზიდენტობის კანდიდატების: კობა დავითაშვილი, გიორგი თარგამაძე, საარჩევნო პროგრამები;
- პრეზიდენტობის კანდიდატების წარსული;

მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით, გადაცემებში პრეზიდენტობის უფრო მეტი კანდიდატის პროგრამა გაშუქდა.

8 ოქტომბრის გადაცემაში პოლიტიკური დებატები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა დავით ბაქრაძის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), ნინო ბურჯანაძისა ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") და გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება") შტაბის ხელმძღვანელებს უნდა მიეღოთ. თუმცა, როგორც წამყვანმა

აღნიშნა, ნახევარი საათით ადრე გიორგი მარგველაშვილის შტაბის ხელმძღვანელმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მის მაგივრად სტუდიაში მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის იურისტი იმყოფებოდა. დისკუსიაში მონაწილეებს დრო თანაბრად გადაუნაწილდათ. კამათისას წარმოქმნილი ხმაურის ფონზე სტუმრების პოზიციების გაგება ზოგჯერ ჭირდა. თუმცა, ჟურნალისტი ცდილობდა მედიატორის როლი შეესრულებინა.

10 ოქტომბრის გადაცემაში საპრეზიდენტო კანდიდატების კობა დავითაშვილისა ("ხალხის პარტია") და გიორგი თარგამაძის ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა") საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელები სატელეფონო ჩართვებით შემოსულ მაყურებელთა შეკითხვებს პასუხობდნენ. ჟურნალისტმა ორივე რესპონდენტს თითქმის თანაბარი დრო დაუთმო. კითხვები პრეზიდენტობის კანდიდატთა პროგრამებს შეეხებოდა და ჩანდა, რომ ჟურნალისტს თემის გარშემო გარკვეული მოკვლევა ჰქონდა ჩატარებული. თუმცა, რიგ შემთხვევაში, ბუნდოვანი რჩებოდა რესპონდენტთა ხედვები.

"25-ე არხის" თოქ-შოუები მოსაზრებათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და აჭარის მთავრობის წარმომადგენლებს, მოქალაქეებს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება თავისუფლად ეძლეოდათ. მოსაზრებათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა 11 ოქტომბრის გადაცემა, რომელშიც გავიდა სიუჟეტი პრეზიდენტობის კანდიდატთა წარსული საქმიანობის შესახებ. სიუჟეტში, სადაც ჟურნალისტი წინასაარჩევნო კამპანიის დროს პარტიათა დაბალ აქტოვობაზე საუბრობდა, დავით ბაქრაძის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") დაზიანებული სააგიტაციო პლაკატი მოხვდა. სასურველი იქნებოდა, ჟურნალისტს განემარტა შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც სააგიტაციო მასალების დაზიანებას კრძალავს. ამავე სიუჟეტში საუბარი იყო ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") კარიერულ წინსვლაზე და მიხეილ სააკაშვილის გუნდიდან მისი წამოსვლის მიზეზებზე. ასეთ „არაოფიციალურ“ მიზეზად ჟურნალისტი ნინო ბურჯანაძის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ე.წ. „ფავორიტების სიაში“ ვერმოხვედრას ასახელებდა. თუმცა, რას ეფუძნებოდა ეს მსჯელობა სიუჟეტიდან არ ჩანდა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მეორე პერიოდში თოქ-შოუებში იმატა პოლიტიკური თემების გაშუქებამ. გადაცემის წამყვანი არასოდეს აფიქსირებდა საკუთარ შეხედულებებს და ცდილობდა დებატებში სხვადასხვა პოლიტიკური ძალებისთვის თანაბარი დრო დაეთმო.

**"რიონი" (ქ. ქუთაისი)** - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის ქვეშ მოექცა ტელეკომპანიის ორი თოქ-შოუ "თემა" და "დიალოგი".

**თოქ-შოუ „დიალოგის“** ხანგრძლივობა 60 წუთს შეადგენს და იგი ყოველ ორშაბათს საღამოს 21:10 საათზე გადის ეთერში.

გადაცემების თემა, ძირითადად, საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამები და რეგიონში წინასაარჩევნო გარემოს შეფასება იყო:

- საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისა და პროგრამის შესახებ;
- ქალაქ ქუთაისში წარმოდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელების შეფასებები საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით და საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო პროგრამები;

წამყვანი მაქსიმალურად მიუკერძოებლად ასრულებდა მედიატორის როლს და საზოგადოებას საარჩევნო სუბიექტების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდა.

30 სექტემბერს გადაცემაში მიწვეული იყო „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის“ საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, რომელმაც საარჩევნო პროგრამისა და არსებული პრობლემების შესახებ იასუბრა.

აღსანიშნავია, რომ 7 ოქტომბრის გადაცემაში მიწვეულ სტუმრებს ერთმანეთისთვის კითხვების დასმის საშუალებაც ჰქონდათ. ამ დროს წამყვანი მხარეთა შორის ბალანსს მაქსიმალურად ინარჩუნებდა და სტუმრებს დიალოგის კორექტულად წარმართვისკენ მოუწოდებდა. გადაცემაში ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატის: გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება"), გიორგი თარგამაძის ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"), ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"), სერგო ჯავახაძის ("სამართლიანი საქართველოსთვის"), დავით ბაქრაძის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და კობა დავითაშვილის ("ხალხის პარტია") საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელები იყვნენ მიწვეულნი. დებატები თანაბარ პირობებში მიმდინარეობდა და სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდში **თოქ-შოუს**, „**თემა**“ ოთხი გადაცემა გავიდა, რომლებიც შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

- სურსათის უვნებლობა;
- კოალიცია „ქართული ოცნების“ ათთვიანი საკანონმდებლო საქმიანობის შეფასება;
- სოფლის მხარდამჭერი პროგრამის მონიტორინგის შედეგები;

- ჟურნალისტების გაცვლითი პროგრამა მოლდოვაში;

თოქ-შოუების თემატიკიდან გამომდინარე, მათში მონიტორინგის სუბიექტებს შედარებით ნაკლები დრო დაეთმო. 4 ოქტომბრის გადაცემა, სადაც მიწვეული იყო პარლამენტის წევრი ფრაქცია "ქართული ოცნებიდან", ზაქარია ქუცნაშვილი, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. თუმცა, რესპონდენტი წამყვანის გარდა მოქალაქეთა სატელეფონო ზარებსაც პასუხობდა. გადაცემაში ჟურნალისტის მხრიდან მკვეთრად მიკერძოების და ხელისუფლების პოზიტიურად ან ნეგატიურად წარმოჩენის ტენდენცია არ გამოვლენილა.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში "თქვენი პარლამენტის" ორი გამოშვება გავიდა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და ინტერნიუსი-საქართველოს პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

6 ოქტომბრის გადაცემა პარლამენტის სამემოდგომო და საგაზაფხულო სესიების შეჯამებას დაეთმო. სტუმრად მიწვეული ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატი ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-რეგიონებიდან“ ვახტანგ ლეომონჯავა, ძირითადად თავისი საქმიანობის შედეგებზე საუბრობდა.

13 ოქტომბრის გადაცემა იმ საკანონმდებლო ინიციატივას შეეხებოდა, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებას ითვალისწინებს. თოქ-შოუში, აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ ორი სტუმარი იყო მიწვეული, დეპუტატები კოალიცია "ქართული ოცნებიდან" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან".

გადაცემის წამყვანი მაქსიმალურად ნეიტრალური იყო და მხოლოდ შეკითხვების დასმით შემოიფარგლებოდა, სტუმრებს კი თანაბარი დრო ეთმობოდათ საკუთარი მოსაზრებების დასაფიქსირებლად.

**ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი)** - ტელეკომპანიის ეთერი ყოველ სამშაბათსა და პარასკევს **თოქ-შოუს**, „**თქვენი დრო**“ ეთმობა, რომელიც ჟურნალისტ ტატო გოგოლაძეს მიჰყავს.

საანგარიშო პერიოდში 4 გადაცემა გავიდა. ერთსაათიან გადაცემაში, რომლის თემა "პრეზიდენტობის კანდიდატების საპრეზიდენტო პროგრამები" იყო ჟურნალისტს თითო სტუმარი (პრეზიდენტობის კანდიდატები) ჰყავდა მიწვეული. გადაცემის სტუმრები იყვნენ: კობა დავითაშვილი ("ხალხის პარტია"), გიორგი თარგამაძე ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"), აკაკი ასათიანი ("ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი") და ავთანდილ მარგიანი (საინიციატივო ჯგუფი). ჟურნალისტი ძირითადად ზოგადი კითხვების დასმით

შემოიფარგლებოდა, კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდა და სტუდიაში მყოფ პრეზიდენტობის კანდიდატებს ოპონირებას თითქმის არ უწევდა. იყო შემთხვევები, როდესაც სტუდიაში მყოფმა საპრეზიდენტო კანდიდატებმა სასაუბრო თემას გადაუხვიეს, მაგრამ ჟურნალისტს მათთვის არ მოუთხოვია, საკითხს დაბრუნებოდნენ. წამყვანი ცდილობდა რესპონდენტებს საპრეზიდენტო პროგრამაში მოცემული საკითხების შესახებ ესაუბრათ, თუმცა დეტალებით ნაკლებად ინტერესდებოდა და საკითხს არ უღრმავდებოდა.

**"ოდიში" (ქ. ზუგდიდი)** - საანგარიშო პერიოდში „ოდიშის“ ეთერში 6 წუთიანი გადაცემა „თქვენი პარლამენტი“ გავიდა. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და ინტერნიუსი-საქართველოს პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

გადაცემის წამყვანს ანა კანაპლოვას სტუდიაში მიწვეული ჰყავდა ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი ეკა ბესელია. გადაცემის თემა პოლიციის შესახებ კანონ-პროექტი იყო. ჟურნალისტი დაინტერესდა რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს კანონ-პროექტს. მან პარლამენტის წევრს ტელეკომპანია „ოდიშის“ მიერ მიწოდებული ოთხი კითხვა დაუსვა.

საანგარიშო პერიოდში, 9 და 12 ოქტომბერს ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერში გადაცემა „დაიცავი ოჯახი ძალადობისგან“ გავიდა, რომელიც ჟურნალისტ სოფო სვანიძეს მიჰყავდა.

გადაცემის თემები იყო:

- ოჯახური ძალადობის არსი, ფორმები და მიზეზები; მასმედიის როლი და მნიშვნელობა ამ პრობლემის გადაჭრაში;
- ოჯახური ძალადობის პრობლემის გადაჭრის გზები, პრობლემის ადეკვატურად შეფასება და სწორი რეაგირება.

გადაცემის სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან.

**"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში გავიდა თოქ-შოუები: „დიალოგი რუსუდან გვარამაძესთან ერთად“ და „ქალები ირჩევენ“.

„დიალოგი რუსუდან გვარამაძესთან ერთად“ - მონიტორინგის ქვეშ ორი თოქ-შოუ მოხვდა, გადაცემების თემები იყო:

- ერთი წელი კოალიცია "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ;



- შეჩერებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები.

თოქ-შოუებში არ გაშუქებულა საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამები ან საარჩევნო კამპანიები. გადაცემებში ორი ან სამი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

10 ოქტომბრის თოქ-შოუში ორი პოლიტიკური სუბიექტი იყო წარმოდგენილი. გადაცემის დასაწყისში ჟურნალისტმა განმარტა, რომ ისინი ეცადნენ მოეწვიათ ყველა პოლიტიკურ პარტია, თუმცა თანხმობა მხოლოდ ამ ორი სუბიექტიდან მიიღეს. შესაბამისად, გადაცემებში პოზიტიური ტონი კოალიცია „ქართული ოცნებისა და „დემოკრატიული მოძრაობა -ერთიანი საქართველოსთვის“ მისამართით დაფიქსირდა. სტუმრებმა ნეგატიური ტონი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მისამართით დააფიქსირეს.

3 ოქტომბრის თოქ-შოუში სტუმრად იყვნენ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. გადაცემაში მათი პარტიების საქმიანობა გაშუქდა. თოქ-შოუში მონაწილეობდა აუდიტორიაც, რომელშიც კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები სჭარბობდნენ. გადაცემაში იყო ბიძინა ივანიშვილის, მთავრობის, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა.

ჟურნალისტი არ გამოხატავდა საკუთარ პოზიციას და მიუკერძოებლობას ინარჩუნებდა. 3 ოქტომბრის თოქ-შოუში კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ცდილობდა ჟურნალისტის აზრის გაგებას იმ სავარაუდო პოზიტიური ცვლილებების შესახებ, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის ერთი წლის თავზე შეინიშნებოდა. თუმცა ჟურნალისტმა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისაგან თავი შეიკავა და სტუმარს სთხოვა საუბარი გაეგრძელებინა.

ჟურნალისტი ცდილობდა დებატები მშვიდად წარმართულიყო და ყველა რესპონდენტს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა ჰქონოდა. თუმცა, 3 ოქტომბრის თოქ-შოუში რამდენიმე რესპონდენტმა უკმაყოფილება გამოხატა მისთვის დათმობილ დროსთან დაკავშირებით. გადაცემის ბოლო ნაწილში კი ჟურნალისტმა, მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო საქმიან რეჟიმში გაგრძელებულიყო თოქ-შოუ. რამდენიმე წუთის განმავლობაში შეუძებელი იყო აუდიტორიის აზრის გაგება. სტუმრები ერთმანეთს საუბარს არ აცლიდნენ.

ამავე გადაცემაში კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭრმა ტელეკომპანია გასული 9 წლის განმავლობაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭრაში დაადანაშაულა და არხის მუშაობა არაობიექტურად შეაფასა. ჟურნალისტმა დაიცვა არხის პოლიტიკა და

განაცხადა, რომ სტუმრის სტუდიაში ყოფნა მეტყველებდა იმაზე, რომ არხი ყველა პოლიტიკური სუბიექტის მოსაზრებებს აშუქებს.

**თოქ-შოუს „ქალები ირჩევენ“** არასამთავრობო ორგანიზაცია „სამცხე-ჯავახეთის მედიაცენტრი“ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით ანხორციელებს. იგი „მე-9 არხის“ ეთერში 5 ოქტომბრის გავიდა. გადაცემის თემა „ქალი და ბიზნესი“ იყო. მასში ჩვენი მონიტორინგის სუბიექტებიდან მხოლოდ მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება გაშუქდა ირიბად, ძირითადად ნეიტრალურ ტონში. თემატურ დისკუსიაში არცერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი არ მონაწილეობდა.

**"თანამგზავი" (ქ. თელავი)** - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგს დაექვემდებარა თოქ-შოუები „არჩევანი 2013“ და „დიალოგი“. ორივე ჟურნალისტ ნატო მეგუთნიშვილს მიჰყავდა. 11 ოქტომბრის **თოქ-შოუ „დიალოგი“** ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში წამყვანს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა პრეზიდენტობის კანდიდატი ნესტან კირთაძე (საინიციატივო ჯგუფი). ჟურნალისტი სტუმარს საინტერესო და ნეიტრალურ კითხვებს უსვამდა. ზოგ შემთხვევაში ნატო მეგუთნიშვილის მიერ დასმული კითხვები კრიტიკულიც იყო. თუ სტუმარი თემიდან გადუბვევდა, ჟურნალისტი ცდილობდა, რესპონდენტს კონკრეტულ საკითხზე საუბარი გაეგრძელებინა. წამოჭრილი თემებით ჟურნალისტი დეტალურად ინტერესდებოდა და პრეზიდენტობის კანდიდატს კარგ ოპონირებას უწევდა. გადაცემის ფორმატი სატელეფონო ზარებს ითვალისწინებდა, თუმცა პირველ ნაწილში სტუდიაში მხოლოდ ერთმა მოქალაქემ დარეკა.

გადაცემის მეორე ნაწილში, რომლის თემაც საარჩევნო პროცესებში ეროვნული უმცირესობების ჩართულობა იყო, სტუდიაში 4 სტუმარი იმყოფებოდა. წამყვანს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ წარმომადგენლები. ჟურნალისტი ცდილობდა, რესპონდენტებს დეტალურად ესაუბრათ საარჩევნო პროცესებში და ზოგადად ქვეყნის ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობაზე.

4 ოქტომბერს ეთერი **თოქ-შოუ „არჩევანი 2013“-ს** დაეთმო. გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მზადდება. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობას 5 საპრეზიდენტო კანდიდატის წარმომადგენელი იღებდა. დარბაზში იმყოფებოდნენ პრეზიდენტობის კანდიდატების პარტიული მხარდამჭერები და თელაველი მედიკოსები. დებატების ძირითადი თემა ჯანდაცვა და დაზღვევის საკითხები იყო.

ჟურნალისტი ცდილობდა გაერკვია, თუ როგორ აპირებენ საპრეზიდენტო კანდიდატები ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებას.

ჟურნალისტი ნატო მეგუთნიშვილი ყველა საპრეზიდენტო კანდიდატის წარმომადგენლს სასაუბრო დროს თანაბრად უნაწილებდა. წამყვანი არ იყო სუბიექტური. ის ცდილობდა თემები გაეშალა და სტუდიაში მყოფ სტუმრებს არა მხოლოდ ჯანდაცვისა და დაზღვევის, არამედ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე დეტალურად ესაუბრათ. ჟურნალისტი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მუშაობის ხარისხით და არსებული პრობლემებით.

გადაცემის მსვლელობისას ეთერში გავიდა ტელეგამოკითხვა, სადაც თელაველები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში არსებულ ხარვეზებზე საუბრობდნენ. ჟურნალისტი ცდილობდა მათ მიერ წამოჭრილ ყველა პრობლემაზე სტუდიაში მყოფი სტუმრებისგან პასუხი მიეღო.

დარბაზში მსხდომ პრეზიდენტობის კანდიდატების პარტიულ მხარდამჭერებს გადაცემის მეორე ნაწილში შეეძლოთ სხვა პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლისთვის კითხვა დაესვათ. დარბაზმა ეს საშუალება აქტიურად გამოიყენა.

**გადაცემა „დაიცავი ოჯახი ძალადობისგან“**, ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში ხუთშაბათს, 9 ოქტომბერს გავიდა, რომლის თემაც ოჯახში ძალადობა იყო.

გადაცემის სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან.

**"თრიალეთი" (ქ. გორი)** - ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში საანგარიშო პერიოდში გავიდა თოქ-შოუ „საუბრები ქალთა საკითხებზე“. გადაცემის სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან.

**"გურია" (ქ. ოზურგეთი)** - გასული ორი კვირის განმავლობაში ტელეკომპანიის ეთერში ორი თოქ-შოუ გადაიცა: „საზოგადოებრივი დარბაზი“ (30 სექტემბერი) და „თქვენთან ერთად“ (7 ოქტომბერი).

**“საზოგადოებრივი დარბაზის”** მთავარი თემა ოზურგეთის რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარება იყო. გადაცემას ორი სტუმარი ჰყავდა ჯაბა ჭეიშვილი ასოციაცია “ელკანას” წარმომადგენელი და გურამ იობიშვილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის მოადგილე. პირველი სტუმარი სამოქალაქო სექტორს წარმოადგენდა, მეორე კი - ოფიციალურ მხარეს. დრო ორივე მხარეზე ზუსტად იყო განაწილებული და დისკუსია მშვიდ გარემოში, თავისუფლად მიმდინარეობდა, სტუმრები შეზღუდვები არ ყოფილან. ჟურნალისტი მოდერატორის როლს ასრულებდა და პერიოდულად ანახლებდა სადისკუსიო თემებს.

**“თქვენთან ერთად”** დაახლოებით 53 წუთს გაგრძელდა. გადაცემის სტუმარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კონსტანტინე შარაშენიძე იყო. ჟურნალისტი თამთა დოლიძე სტუმარს კრიტიკულ კითხვებს უსვამდა, საკუთარ მოსაზრებებს ნაკლებად აფიქსირებდა და ცდილობდა მიღებული ინფორმაციის დაკონკრეტებას. საუბრის მთავარი თემები ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები და რეგიონის გაზიფიცირება იყო.

**"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის სადამოს ეთერში ორი თოქ-შოუ გავიდა: „არჩევანი 2013“ და „თქვენი პარლამენტი“.

**თოქ-შოუ "არჩევანი 2013"**, რომელიც ეთერში 11 ოქტომბერს გავიდა, „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მზადდება. პროექტის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა.

თოქ-შოუ მთლიანად წინასაარჩევნო თემატიკას მიეძღვნა. სტუდიაში მიწვეული იყვნენ იმ საპრეზიდენტო კანდიდატების წარმომადგენლები, რომელთა საარჩევნო შტაბებიც ჭიათურაში ფუნქციონირებს. კერძოდ, გიორგი თარგამაძის ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"), გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია "ქართული ოცნება") დავით ბაქრაძის ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელები. ასევე მიწვეული იყო ნინო ბურჯანაძის ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის) საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, თუმცა, როგორც გადაცემის წამყვანმა განმარტა, მან დებატებში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა.

თოქ-შოუს, რომელიც სამი ნაწილისგან შედგებოდა, ჟურნალისტი ინგა ჯაჯანიძე უძღვებოდა. პირველ ნაწილში საპრეზიდენტო კანდიდატების წარმომადგენლებს თანაბარი დრო დაეთმოთ კანდიდატების პროგრამებსა და საკუთარ ხედვებზე სასაუბროდ. მეორე

ნაწილი, ძირითადად, სტუმართა შორის გამართულ დებატებს დაეთმო, ხოლო დასკვნით ნაწილში მათ მოსახლეობის სატელეფონო შეკითვებს უპასუხეს. სტუმრებს საკუთარი მოსაზრების გამოხატვის საშუალება მაქსიმალურად ეძლეოდათ. წამყვანი მედიატორის როლში გვევლინებოდა და ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდა. იგი გადაცემის მსვლელობისას საკუთარ პოზიციებს თითქმის არ აფიქსირებდა და მხარეებს საუბრისთვის თანაბარ დროს უთმობდა.

ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და ინტერნიუსი-საქართველოს პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მომზადებული გადაცემა **„თქვენი პარლამენტი“**, ტელეკომპანია „იმერვიზიის“ ეთერში 10 ოქტომბერს გავიდა.

თოქ-შოუს თემა ახალ საკანონმდებლო ინიციატივას შეეხებოდა, რომელიც მანგანუმზე მოსაკრებლის გაზრდას ითვალისწინებს. გადაცემის სტუმარი ინიციატივის ავტორი, ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მალხაზ წერეთელი იყო. წამყვანმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ თოქ-შოუში მონაწილეობაზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა უარი განაცხადა.

გადაცემის შესავალში სტუმარმა კანონ-პროექტი წარადგინა, შემდეგ კი ტელეკომპანია „იმერვიზიის“ მიერ მომზადებულ შეკითხვებს უპასუხა. მაყურებელმა თემის ირგვლივ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მიიღო. მაგრამ იმის გამო, რომ მეორე მხარე გადაცემაში არ მონაწილეობდა საკითხი, ძირითადად, დადებითად იყო წარმოდგენილი და კანონ-პროექტის ავტორის მიმართ კრიტიკული შეკითხვები არ დასმულა;

**"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი)** - ტელეკომპანიის ეთერში თოქ-შოუ **"ძალა უძალოთ"** ორკვირიანი მონიტორინგის პერიოდში ორჯერ, 4 და 11 ოქტომბერს გადაიცა, რომლებიც ჟურნალისტ ლევან ალექსიშვილს მიჰყავდა. გადაცემებს სპეციალური, საარჩევნო ფორმატი ჰქონდა და სტუმრად მხოლოდ საპრეზიდენტო კანდიდატებს იწვევდა.

"ძალა უძალოთას" ერთსაათიანი საეთერო დრო 2 ნაწილად იყო გაყოფილი და თანაბრად ეთმობოდა ორ საპრეზიდენტო კანდიდატს. მიწვეულნი იყვნენ საპრეზიდენტო კანდიდატები: აკაკი ასათიანი ("ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი"), შალვა ნათელაშვილი ("ლეიბორისტული პარტია"), ლევან ჩაჩუა (საინიციატივო ჯგუფი) და გიორგი ჩიხლაძე (საინიციატივო ჯგუფი).

ვინაიდან, 4 ოქტომბრის გადაცემაში გიორგი ჩიხლაძე სტუდიაში გადაცემა დასასრულს მივიდა, დრო თითქმის მთლიანად ლევან ჩაჩუას დაეთმო.

მიწვეულ კანდიდატებს, გარდა საარჩევნო დაპირებებისა, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პრობლემების მოგვარებაზეც უეწვდათ საუბარი. წამყვანი, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მოდერატორის როლს ასრულებდა. თუმცა, ზოგჯერ ცხარე კამათშიც ებმებოდა. დასმული კითხვები ადეკვატური და კრიტიკული იყო, წამყვანი ცდილობდა ბოლომდე ჩაძიებოდა სტუმრის კომენტარებს.

11 ოქტომბრის გადაცემაში პრეზიდენტობის კანდიდატის შალვა ნათელაშვილის მხრიდან ადგილი ჰქონდა ბრალდებების წაყენებას “კოალიცია ქართული ოცნებისა” და “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მისამართით, თუმცა წამყვანი სტუმრას ბოლომდე აცდიდა აზრის დამთავრებას.

თოქ-შოუების მსვლელობისას იყო სატელეფონო ჩართვებიც: ტელემყურებლებმა კანდიდატებს რამდენჯერმე მათთვის საინტერესო კითხვები დაუსვეს. წამყვანი მიუკერძოებელი იყო და არ აფიქსირებდა რომელიმე მხარისადმი საკუთარ დამოკიდებულებას.

**გადაცემა “თქვენი პარლამენტი”,** რომელიც "გურჯაანის" ეთერში 6 და 13 ოქტომბერს გადაიცა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და ინტერნიუსი-საქართველოს პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა გადაცემებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. გადაცემების სტუმრებს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ეკა ბესელიას და გელა სამხარაულს წაყვანმა რეგიონალური ტელევიზიების მიერ მომზადებული კითხვები დაუსვა.

გადაცემების თემები იყო:

- კანონის გამკაცრება "გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში (112)" განხორციელებული ანონიმური მუქარის ზარების ან შეურაცხყოფის მიყენების გამო;
- პარლამენტის დადგენილება 2014 წლის 31 დეკემბრამდე უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შეზღუდვაზე.

გადაცემის ხანგრძლივობა 7 წუთს შეადგენდა და სტუმარს დაახლოებით 25 წამი ჰქონდა კითხვაზე პასუხის გასაცემად.

**თოქ-შოუ "დიალოგი"** გასული ორი კვირის განმავლობაში ორჯერ გავიდა ტელეკომპანია "გურჯაანის" ეთერში, თუმცა გადაცემის თემები (ფეხბურთის განვითარება, თოჯინების თეატრის პრეზენტაცია) არ მოიცავდა მონიტორინგის სუბიექტებს.

ტელეკომპანიამ 5 და 12 ოქტომბერს ეთერი **სტუდია "რეს"** ტელედისკუსიებს დაუთმო. 45-50 წუთიანი გადაცემებს ჟურნალისტი ზვიად ქორიძე უძღვება. საანგარიშო პერიოდის გადაცემების თემები იყო:

- ხუდონჰესის ეკონომიკური ეფექტი;
- ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენის პროცესში.

გადაცემებში მიწვეულნი იყვნენ როგორც ოფიციალური პირები, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები.

გადაცემის წამყვანი მედიატორის როლს ასრულებდა, თუმცა ბოლომდე ჩართული იყო დისკუსიის პროცესში და სვამდა ადეკვატურ, კრიტიკულ შეკითხვებს. ცხარე კამათისას სტუმრებს ეთიკურობისკენ მიუთითებდა და ზუსტად ანაწილებდა დროს თითოეულ მათგანზე. კითხვების დიდი ნაწილი წინასწარ იყო მომზადებული და დაბალანსებულად გადანაწილებული.

**მეგა ტვ" (ქ. ხონი)** - საანგარიშო პერიოდი არხის ეთერში ორი თოქ-შოუ მოხვდა.

თოქ-შოუ „ფორუმი“ ეთერში ორშაბათს 30 სექტემბერს გავიდა, ხოლო ამავე სტუდიიდან 10 ოქტომბერს „არჩევნები 2013“ გადაიკა. თოქ-შოუ „რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ პროექტის ფარგლებში იყო მომზადებული.

30 სექტემბრის **თოქ-შოუ "ფორუმი"** რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მავთულხლართების გავლებას ეხებოდა. სტუდიაში მიწვეული იყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი. მონიტორინგის სუბიექტებიდან გადაცემაში ისაუბრეს მთავრობაზე, პრემიერ-მინისტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებაზე. გადაცემა ძირითადად, ქვეყნის საგარეო ურთიერთობებსა და სამოქალაქო სექტორის საპროტესტო განწყობებს შეეხებოდა.

10 ოქტომბრს ეთერში „**არჩევნები 2013**“ გავიდა. სტუდიაში ჟურნალისტსა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელს შორის დიალოგი საარჩევნო პროცესებს შეეხებოდა. მონიტორინგის სუბიექტებიდან გადაცემაში დიდი დროით ცენტრალური საარჩევნო კომისია გაშუქდა. სტუმარი საუბრობდა იმ სიახლეებისა და აქტიური მუშაობის შესახებ, რომელიც

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ქუთაისის საოლქო კომისიამ გასწია. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატების საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შესახებ საუბრისას, გადაცემაში ირიბად გაშუქდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები: დავით ბაქრაძე ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), გიორგი მარგველაშვილი (კოალიცია "ქართული ოცნება") და ნინო ბურჯანაძე ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის").

ჟურნალისტი რესპონდენტის მიმართ მშრალი კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა. 10 ოქტომბრის გადაცემაში ყველაზე მეტი დროით წარმოდგენილ მონიტორინგის სუბიექტის, ცესკოს მისამართით არ ყოფილა კრიტიკული შეკითხვა

გასულ გადაცემებში არ გაშუქებულა საპრეზიდენტო კანდიდატების აქტივობები. საარჩევნო თემატიკის გაშუქება მხოლოდ საარჩევნო პროცესზე და ცესკოს მუშაობის შესახებ საუბრით შემოიფარგლებოდა.

**"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი)** - არხის ეთერში ყოველ პარასკევს დაახლოებით ერთსაათიანი **თოქ-შოუ „თემა“** გადიოდა, რომელსაც ჟურნალისტი თეა აბსარიძე უძღვებოდა.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის ქვეშ ორი გეგმიური და ერთი სპეციალურ გამოშვება მოხვდა. სამივე გადაცემა წინასაარჩევნო თემებს მიეძღვნა.

თოქ-შოუებში შემდეგი საკითხები იყო განხილული:

- წინასაარჩევნო გარემო სამეგრელოს რეგიონსა და მთლიანად ქვეყანაში - ექსპერტებისა და საარჩევნო შტაბების წარმომადგენელთა შეფასებები;
- ინტერვიუ ფოთის მაჟორიტარ დეპუტატ, ფრაქცია "ქართული ოცნების" წევრ ეკა ბესელიასთან;
- საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამები და მათი პრიორიტეტები;

თოქ-შოუებში მიწვეულ სტუმრებს მაქსიმალური დრო ეთმობოდათ საარჩევნო გარემოსა და საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამებზე სასაუბროდ.

პირველ გადაცემაში წამყვანს მიწვეული ჰყავდა ქალაქ ფოთში არსებული საარჩევნო შტაბების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჟურნალისტი თანაბარ დროს უთმობდა სტუმრებს პოზიციების დასაფიქსირებლად. შესაბამისად, მოსაზრებები მაქსიმალურად დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი. წამყვანი ნეიტრალურობით და ობიექტური კითხვების დასმით გამოირჩეოდა, ლოგიკურად უკავშირებდა თემებს და სტუმრებს დასმულ კითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემას სთხოვდა.

შედარებით პასიური იყო წამყვანი 11 ოქტომბრის თოქ-შოუში, რომელშიც მხოლოდ საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. მიწვეული სტუმრებიდან („ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“, კოალიცია „ქართული



ოცნების“, „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელები) საკუთარი საარჩევნო კამპანიის შესახებ საუბრისთვის ყველაზე ნაკლები დრო, საბოლოო ჯამში, გიორგი მარგველაშვილის (კოალიცია „ქართული ოცნების“) წარმომადგენელს დაეთმო, რადგან იგი ოპონენტების მოსაზრებების კომენტირებაზე უფრო იყო ორიენტირებული. საკუთარი პოზიციებისა და მოსაზრებების მაქსიმალურად დაფიქსირება ნინო ბურჯანაძის („დემოკრატიული მოძრაობა- ერთიანი საქართველოსთვის“) შტაბის ხელმძღვანელმა შეძლო. აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანი არცერთი სტუმრის მიმართ მიკერძოებული არ ყოფილა.

5 ოქტომბერს ტელეკომპანიის ეთერში ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის ეკა ბესელიას ინტერვიუ გავიდა. რესპონდენტი საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებსა და მოსაზრებებზე საუბრობდა და მაქსიმალურად იყენებდა საეთერო დროს წინასაარჩევნოდ აქტუალური საკითხების წარმოსაჩენად. თუმცა, როდესაც სტუმარმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციის წარმომადგენელი არაკორექტულად მოიხსენია, ჟურნალისტმა სწრაფად მოახდინა რეაგირება და სტუმარს თავშეკავებისკენ მოუწოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით განხორციელებული ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და ინტერნიუსი - საქართველოს პროექტის, "პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრის" ფარგლებში მომზადებული გადაცემა "თქვენი პარლამენტი" ტელეკომპანია „მეცხრე ტალღის“ ეთერში 3 ოქტომბერს გავიდა. გადაცემაში ცრუ შეტყობინებების, ტერორიზმის შესახებ კანონის გამკაცრებაზე სასაუბროდ მიწვეული იყო ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია "ქართული ოცნების" წევრი ეკა ბესელია. თოქ-შოუში მონაწილეობაზე საპარლამენტო უმცირესობამ უარი განაცხადა. შესაბამისად, განსხვავებული მოსაზრებები არ დაფიქსირებულა, გადაცემა მაქსიმალურად ინფორმაციული იყო. დეპუტატმა ტელეკომპანია "მეცხრე ტალღის" ჟურნალისტების მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა.

### ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“

„რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“, „25-ე არხი“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ და „მეცხრე არხი“.

საანგარიშო პერიოდში ტელეჟურნალის ორი გადაცემა გავიდა. მომზადდა ანალიტიკური სიუჟეტები, რომლებშიც წარმოდგენილი ფაქტები წყაროთა კომენტარებით იყო გამყარებული. სიუჟეტებში თემები სხვადასხვა კუთხით და ამბის წინისტორიით იყო წარმოდგენილი. ჟურნალისტები მაქსიმალურად ობიექტურ, დაბალანსებულ სიუჟეტებს ამზადებდნენ.

მონიტორინგის სუბიექტებიდან გადაცემებში ძირითადი დრო ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას დაეთმო. ტელეჟურნალის პირველი გადაცემა, ძირითადად, სიუჟეტებისაგან შედგებოდა და კვირის განმავლობაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს მიმოიხილავდა. ხოლო მეორე გადაცემა სიუჟეტებს და მიწვეულ სტუმართან, "ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელ" ბიძინა გიორგობიანთან, ინტერვიუს დაეთმო. სტუმარმა ამომწურავად ისაუბრა "ეროვნული სატყეო სააგენტოს დეპარტამენტში" ყოფილი ხელისუფლების დროს და ამჟამად არსებული ვითარების შესახებ. შესაბამისად, მოიმატა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", კერძოდ, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის გაშუქების ნეგატიურმა ტონმა.

გადაცემებში რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა და მოვლენა გაშუქდა:

- აგროკრედიტის პრობლემები და ხელისუფლების დაპირებები;
- ახალი საკანონმდებლო ინიციატივები;
- ქარხნების შეჩერებული მშენებლობები;
- საოკუპაციო ხაზი და ე.წ. საზღვრისპირა მოსახლეობის პრობლემები;
- სოჭის ზამთრის ოლიმპიადა;
- სახელმწიფო ენის დაცვასთან დაკავშირებული კანონ-პროექტი და ეთნიკური უმცირესობების მოსაზრებები;
- მოსახლეობის სოციალური პრობლემები;
- სატყეო დეპარტამენტში არსებული სიტუაცია მიმოიხილვა;

ტელეჟურნალის სიუჟეტები პრობლემების სიღრმისეული ანალიზით და მოსაზრებათა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ჟურნალისტები ინფრომაციას მიუკერძოებლად,

საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გარეშე გადმოსცემდნენ. სიუჟეტების უმრავლესობაში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ნეიტრალური ტონი სჭარბობდა.

### სოციალური რეკლამების მონიტორინგი

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დაკვირვება მოხდება სოციალურ რეკლამებზე. "რეკლამის შესახებ კანონის" მე-12 მუხლში სოციალური რეკლამა განმარტებულია როგორც "საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას (9.06.2006 N3245)". დაკვირვება მოხდება იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სოციალური რეკლამა ამ სტატუსის რეკლამისთვის კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხომ არ შეიცავს "ფარული პოლიტიკური რეკლამის" (სამთავრობო დაწესებულებების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამირება) ნიშნებს. თვისებრივი კვლევის პარალელურად დაითვლება "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნების შემცველი სოციალურ რეკლამების ეთერში გასვლის სიხშირეც.

**მონიტორინგის შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიების ეთერში გასულ სოციალურ რეკლამებში ფარული პოლიტიკური რეკლამის ნიშნები არ შეინიშნებოდა.

### მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

14 - 20 ოქტომბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მესამე ეტაპი.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.  
Sustainable Democracy.

*ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.*